Municipality of Kaspi Digitally signed by Municipality of Kaspi Date: 2023.02.09 14:46:18 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 16

ქ. კასპი

თებერვალი 2023 წელი

ერთი მხრივ, კასპის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი კასპის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ მაისურაძეს სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: ქ.კასპი კოსტავას ქ. #18;
საიდენტიფიკაციო კოდი: № 232555302;
ტელეფონის ნომერი: 0(371) 22-20-20
საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE24NB 0330 1002 0016 5022;
და მეორე მხრივ, ი/მ „თემურ ირემაშვილი"-ს მინდობილი პირი (მინდობილობა N180168238) არსენ ირემაშვილი (შემდგომში - მომწოდებელი),
მისამართი: ქ. კასპი სააკაძის ქ.#40-ა;
საიდენტიფიკაციო კოდი: № 24001002555
ტელეფონის ნომერი: 555 75 85 42
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ანგარიშის ნომერი: GE09BG0000000100625926;

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი როგორც „მხარეები", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის $ს^1$ ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) პუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გასანათებელი მოწყობილობების და ელექტრონათურების შეძენა. დანართად ინვოისი 03.02.2023წ. CPV-31500000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1 155.00 (ერთი ათას ას ორმოცდათხუთმეტი და 00) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1.შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მოწოდების დასრულების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო ა/ფაქტურის (სასაქონლო ზედნადები) წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.
4.3. დაფინანსების წყაროა 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიწოდება დასრულებულად ჩაითვლება შემიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.2. მიღება–ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: საქონლის დასახელება, ღირებულება, რაოდენობა;

6. მომსახურების გაწევის ვადა

6.1. საქონლის მოწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი სრული მოცულობით იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1 პუნქტში;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გივი მერებაშვილი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.2 % პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დამატებით დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 % – ის ოდენობით.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით.

მხარეთა ხელმოწერები:

„შემსყიდველი“
კასპის მუნიციპალიტეტის
მერი

ვახტანგ მაისურაძე

„მომწოდებელი“
ინდ მეწარმე „თემურ ირემაშვილი“-ს
მინდობილი პირი

არსენ ირემაშვილი

Arsen Iremashvili
Digitally signed by Arsen Iremashvili
Date: 2023.02.09 14:28:47 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ კასპის მუნიციპალიტეტის მერიასა და , ი/მ „თემურ ირემაშვილი"-ს შორის 2023 წელს გაფორმებული #16-ე ხელშეკრულებით განსაზღვრულ სახელმწიფო შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე

ინვოისი - 01.02.203 წ.

მიმწოდებელი: **ი/მ „თემურ ირემაშვილი“**
საიდ. კოდი: 24001002555
ელ-ფოსტა:

Arsen Iremashvili
Digitally signed by Arsen Iremashvili
Date: 2023.02.03 16:48:05 +04'00'

შემსყიდველი: **კასპის მუნიციპალიტეტის მერია**
საიდ. კოდი: 232555302
ელ-ფოსტა: kaspismunicipaliteti@gmail.com

ფასების ცხრილი

№	კოდი	დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)
1	315	ეკონათურა 20-30ვ ცივი ნათება ლედ	60	12	720.00
2		ლედნათურა ჭერის 40სმ*40ზე	5	45	225.00
3		ეკონათურა 12-15ვ ცივი ნათება	15	6	90.00
4		ეკონათურა 12-15ვ თბილი ნათება	20	6	120.00
				სულ ჯამი:	**1,155.00**

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

38715918199018

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180168238

რეგისტრაციის თარიღი

19.02.2018 წ

ნოტარიუსი: რიმა ზურაბიანი
მისამართი: კასპი, კოსტავას ქ. №4
ტელეფონი: 599143648

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას თვრამეტი წლის ცხრამეტ თებერვალს მე რიმა ზურაბიანს, ნოტარიუსს საქართველოში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი კასპი, კოსტავას ქ. № 4 - ში, მომმართა თემური ირემაშვილმა (დაბადებული: 08.02.1958 წ. პ. № 24001002555) როგორც ინდ. მეწარმემ (განაცხადის № განაცხადის რეგისტრაციის № B18009291, ამონაწერის მომზადების თარიღი: 29.01.2018 საიდენტიფიკაციო კოდი:24001002555,), რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე შევამოწმე სანოტარო მოქმედების მინაწილის ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლინების ნამდვილობა, გარიგების შინაარსი და შემდეგ შევადგინე მინდობილობის შინაარსი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თვრამეტი წლის ცხრამეტ თებერვალს მე, თემური ირემაშვილი (დაბადებული: 08.02.1958 წ. პ. № 24001002555) როგორც ინდ. მეწარმემ განაცხადის რეგისტრაციის № B18009291, ამონაწერის მომზადების თარიღი: 29.01.2018 საიდენტიფიკაციო კოდი:24001002555,), ვენდობი არსენ ირემაშვილს (დაბადებული: 02.06.1983 წ. პ. № 24001007550) იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებში, ნებისნიერ კომპეტენტურ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის სანოტარო ბიუროში, არქივებში, ნებისმიერ ბანკში, შემოსავლების სამსახურში,(საგადასახადოში) წარმოადგინოს ჩემი ინტერესები ნებისმიერ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე, შეაგროვოს და მოაწეროს ხელი საჭირო დოკუმენტებს ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში.საგადასახადოში, ნებისმიერ მუნიციპალიტეტის გამგეობაში, მერია საკრებულოში ,არქიტექტურის სამსახურში, დაამზადებინოს ნახაზები აიღოს ნებართვები.

განკარგოს ჩემს, როგორც ინდმეწარმის სახელზე გახსნილი ანგარიშები ნებისმიერ ბანკში, საჭიროების შემთხვევაში გახსნას/დახუროს ანგარიშები/ანაბრები. მოითხოვოს და მიიღოს დეტალური ამონაწერები, აწარმოოს ყველა სახის საბანკო ოპერაციები, გამოიტანოს და შეიტანოს ნებისმიერი თანხა, მოახდინოს გადარიცხვები, კონვერტაცია, აწარმოოს ჩემი სამეწარმეო საქმიანობა, მიიღოს და განაბაჟოს ჩემს სახელზე შემოსული საქონელი, გაუკეთოს საქონელს რეალიზაცია/დისტრიბუცია, დაარეგისტრიროს ჩემს სახელზე სალარო აპარატი, ისარგებლოს ჩემს სახელზე რეგისტრირებული სალარო აპარატით. საჭიროების შემთხვევაში მოხსნას და ჩააბაროს ჩემს სახელზე რეგისტრირებული სალარო აპარატი, ჩააბაროს საგადასახადო ინსპექციაში სალარო აპარატი, მოხსნას კოდი მეწარმეობის გაუქმებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი საგადასახადო ორგანოებში, სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებში, საბანკო დაწესებულებებში, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები, ბაჟები და მოსაკრებლები, დადოს კანონით ნებადართული ყოველგვარი გარიგება, საჭიროების შემთხვევაში მოაწეროს ხელი დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის საქმე, რაც ამ დავალებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

<u>მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.</u>

მინდობილობა შედგენილია სამ (3) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად. ერთი ინახება სანოტარო ბიუროში, დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღური: ათი (10.00) + ორი (2.00) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507, 31-ე და 39-ე მუხლებისა.

მიმნდობი: თემური ირემაშვილი

ნოტარიუსი:
რიმა ზურაბიანი



Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO

სახელი / FIRST NAME
არსენ
ARSEN
გვარი / LAST NAME
ირემაშვილი
IREMASHVILI
მოქ. / CIT. GEO
სქესი / SEX მ / M
პირადი No / PERSONAL No 24001007550
დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH 02.06.1983
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY 21.09.2028
ბარათის No / CARD No 18IB48897
ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
კასპი
KASPI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
21.09.2018
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სსს, დამამზადებელი: MB-IDS 2017
სშს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE018IB48897624001007550<<<<
8306029M2809218GE0<<<<<<<<<<<4
IREMASHVILI<<ARSEN<<<<<<<<<<<<